განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
19 მაისი 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
2 ივლისი 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საჯარო მმართველობის ბაკალავრი კვალიფიკაციის კოდი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებულია 2015 წლის 24 ივნისის #80 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დოლიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგი გიოშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ფარგლებში. პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება, აკრედიტაცია მინიჭებული აქვს 2015 წლის 24 ივნისს აკრედიტაციის საბჭოს #80 გადაწყვეტილებით.

პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 19 მაისს, 10:30 საათიდან. COVID-19 პანდემიით შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გამო, ვიზიტი განხორციელდა ონლიან, zoom პლატფორმის გამოყენებით. დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა შეხვედრები/გასაუბრებები პროგრამაში ჩართულ მხარეებთან, კერძოდ: უსდ-ს და ფაკულტეტის ადმინისტრაცია; პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი; უსდ-ს/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები, ბიბლიოთეკის წარმომადგენლები; აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.

ონლაინ ვიზიტის ფარგლებში, ბუნებრივია, ვერ განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.) ადგილზე დათვალიერება. შესაბამისად, აღნიშნული რესურსების შესწავლა/ინფორმაციის დაზუსტება მოხდა მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგების საფუძველზე. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული:

	სტანდარტი	**შესაბამისობა**
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 1-ლი სტანდარტის - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - 1.2. ქვესტანდარტი (პროგრამის სწავლის შედეგები) მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- მე-2 სტანდარტის - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - 2.2. ქვესტანდარტი (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი) და 2.3. ქვესტანდარტი (სასწავლო კურსი) მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

  - უმაღლესი დადებითი და უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტების საერთო პროცენტული რაოდენობის განსაზღვრა, როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების სამიზნე ნიშნულისა, რომელიც გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის;
  - კონკრეტული საგნის ფარგლებში აკადემიური შეფასების და ქულათა გადანაწილების სტატისტიკური ანალიზი ლექტორის სწავლების ხარისხის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვის მიზნით.
  - კონკრეტულ სილაბუსებში (სამოხელეო სამართალი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, საქართველოს კონსტიტუტციური სამართალი, საერთაშორისო საჯარო სამართალი) - საკითხების ჩაშლა, ლექციაზე მიწოდებული მასალის რაოდენობის შემცირების მიზნებისათვის;
  - კურსის **საჯარო ადმინისტრირების თეორია და პრაქტიკა** ფარგლებში განახლდეს ძირითადი ლიტერატურა და კურსის პრაქტიკული კომპონენტი გაძლიერდეს ქართული რეალობის, საქართველოს საჯარო სექტორში მიმდინარე მოვლენების ამსახველი მასალით.
  - სასურველია, რომ კურსის **სამოხელეო სამართალი** - სავალდებულო სასწავლო მასალებს დაემატოს ანა ფირცხალაშვილის თანაავტორობით 2018 წელს გამოცემული საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები და საქართველოს

მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილებით მიღებული "პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის" შესაბამისად დამტკიცებული სახელმძღვანელო და შესაბამისი დანართები.

- სასურველია, რომ კურსის **შესავალი სამართალმცოდნეობაში** - ძირითადი ლიტერატურის ნაწილში განსაკუთრებით იმ თემებთან დაკავშირებით, სადაც მითითება კეთდება საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაზე, გამოყენებულ იქნას ასევე ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი სხვა წყაროებიც მაგალითად: მაგ. პ. მალანჩუკი - აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ან ლ. ალექსიძე - თანამედროვე საერთაშორისო სამართალი.
- **აკადემიური წერა** - სასურველია, რომ აღნიშნული კურსის ფინალური შეფასება, წერითი გამოცდის ნაცვლად განხორციელდეს აკადემიური ნაშრომის კომპონენტით, კერძოდ ან რეფერატით ან სამეცნიერო სტატიით.
- უცხო ენის სწავლების კომპონენტის გაძლიერება და საჯარო ადმინისტრირების პროგრამის მიზნებთან დაახლოება.

- გადაიხედოს დემოკრატიისა და მოქალაქეობის სასწავლო კურსის წინაპირობა და ასეთად განისაზღვროს კონსტიტუციური სამართალი და შესაბამისად მე-3 სემესტრის ნაცვლად აღნიშნული კურსი შეთავაზებულ იქნას მე-4 სემესტრში.
- საერთაშორისო ორგანიზაციების სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო საჯარო სამართალი, და ევროკავშირის სამართლის წინაპირობად საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი ამის შესაბამისად სასურველია რომ შეიცვალოს საგნების სემესტრული განაწილება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ერთ სფეროს მიკუთვნებული სასწავლო კურსების გადაწყობა ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემისა და სამიზნე ნიშნულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და დეტალური განმარტება აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისათვის.
- პროგრამებზე მობილობით ჩარიცხვის ვადებისა და პროცედურების დადგენა განეკუთვნება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კომპეტენციას და არა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისას. შესაბამისად, ეს ჩანაწერი სასურველია, გასწორდეს თვითშეფასების ანგარიშში.
- უსდ-ს მხრიდან სტუდენტებთან კომუნიკაციის კომპონენტის გაძლიერება და ინფორმაციის მიწოდება საბიბლიოთეკო ელექტრონულ რესურსებზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- პროგრამაზე მოქმედი და პრაქტიკულ კომპონენტში ინტეგრირებული, საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებზე ორიენტირებული სოციალური აქტივობის სავალდებულო კომპონენტი, რაც ცალსახად არის საუკეთესო პრაქტიკის თვალნათელი მაგალითი.

- 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის აუცილებლობის გამო სტუდენტების საჭიროებების იდენტსტაიფიკაცია, მათი სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა და შექმნილი ხარვეზების აღმოფხვრის დაგეგმვა.
- სოციალური დახმარების დამატებითი პაკეტი მოწყვლადი ჯგუფის სტუდენტებისათვის; აკადემიური მოსწრების საფუძველზე შემუშავებული ფინანსური დახმარების მექანიზმები.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ექსპერტთა ჯგუფისა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად, პროგრამაში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და კლასიფიკატორის შესაბამისად დაზუსტდა პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია, განისაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისად, შეიცვალა სასწავლო კურსები, სასწავლო კურსების სტატუსი (სავალდებულო/აჩევითი/თავისუფალი). განისაზღვრა სწავლის შედეგები, რომლებიც გაიწერა ცალკეული კურსების სილაბუსებში და შემუშავდა სწავლის შედეგებისა და სწავლების მეთოდების შესაბამისობის რუკა.
- დაინერგა Turnitin პროგრამა, მისი გამოყენება გათვალისწინებულ იქნა იმ კურსების სილაბუსებში, სადაც წერითი კომპონენტით შეფასება ხდება.
- პროგრამაში არჩევითი კურსის სახით დაემატა „ევროკავშირის სამართალი“.
- განახლდა ლიტერტურა, მოდიფიცირდა სილაბუსები, გასწორდა ბიბლიოგრაფიული და ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, შინაარსობრივად გაიმართა და საჯარო მმართველობისათვის მნიშვნელოვანი თემებით გაძლიერდა შემდეგი კურსები: „კონსტიტუციური სამართალი“, „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება“, „ადამიანის ძირითდი უფლებები და თავისუფლებები“, „სამოხელეო სამართალი“, „საინფორმაციო ტექნოლოგიები“, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“, „შრომის სამართალი“, „საარჩევნო სამართალი“, „საგადასახადო სამართალი“, „საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია“.
- შეიცვალა პრაქტიკის კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (8 ECTS 10-ის ნაცვლად), გაძლიერდა პრაქტიკული აქტივობების კომპონენტი, ძირეულად განახლდა შინაარსობრივი ნაწილი.
- აკადემიური წერის კურსი, რომლის შინაარსი, ექსპერტთა შეფასებით, შეესაბამებოდა მართლწერისა და მართლმეტყველების კურსს, მოდიფიცირდა, Erasmus+ -ის საერთაშორისო პროექტის INTEGRITY-ის ფარგლებში, ავსტრიის, ბრიტანეთისა და შვედეთის უნივერსიტეტების გამოცდილებით. შემუშავდა სახელმძღვანელო. 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, საპილოტედ ჩატარდა შუალედური და დასკვნითი გამოცდები ელექტრონული ფორმით „აკადემიურ წერაში“, სადაც გამოყენებულ იქნა სრულიად განსხვავებული შეფასების მეთოდი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად და შესაბამისობაშია სასწავლო უნივერსიტეტისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია დოკუმენტში „საინსტრუქციო წერილი“, პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათებაში. განსაზღვრულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა; ძირითადი უნარები და ცოდნა, რაც სჭირდება კურსდამთავრებულს საჯარო მმართველობის სფეროში დასაქმებისათვის; დამოუკიდებლად მუშაობის უნარები და ეთიკური ღირებულებები. განსაზღვრულია ასევე სწავლის შედეგები, დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარები: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. პოტენციური კურსდამთავრებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები განსაზღვრულია სხვადასხვა კვლევების საფუძველზე, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით მიმდინარე პროექტის Role of University in Regional Development, ფარგლებში, შესწავლილ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობებთან თანამშრომლობის ტენდენციები, ამავე პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რეგიონული საჭიროებების კვლევა; დამსაქმებლების გამოკითხვა მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა და გამგებლის მონაწილეობით; კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვა. პროგრამის მიზნების ხელმისაწვდომობას და ჩართული პირების მიერ გაზიარებას უზრუნველყოფს პროგრამის თვითშეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, რომელიც რექტორის ადმინისტრაციული აქტით შეიქმნა 2019 წელს და რომელშიც მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, პრაქტიკული გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტები - მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- დანართი 4_ დამსაქმებლის გამოკითხვის ანალიზი
- გამოკითხვის შედეგები (ფარმაცია, საჯარო), 25/02/2020
- დანართი 5 - საჯაროს კურსდამთავრებული
- დანართი 1 - შრომის ბაზრის კვლევის შედეგები
- სასურველი პროგრამების გამოკითხვა;
- ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება 73, სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები (9 ოქმი 2020 თებერვლის ჩათვლით)
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაზქმებლებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია 5 ძირითადი მიზანი: საჯარო მმართველობის ფართო ცოდნა; საჯარო მმართველობის თეორიებისა და პრინციპები ცოდნა და კრიტიკული გააზრება; დასაბუთებულად გადაწყვეტილების მიღება; ინფორმაციის მოძიება, გაანალიზება, დასკვნების ჩამოყალიბება და პრეზენტაცია; უწყვეტი პროფესიული განათლების სპეციალისტების მომზადება; ასევე განსაზღვრულია ათი შედეგი: ცოდნა და გაცნობიერება 4, უნარები 4, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა 2, რომლებიც თანხვედრაშია ჩამოყალიბებულ მიზნებთან და შესაბამისობაშია კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებთან; შეესაბამება დარგის სპეციფიკას, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს რა როგორც ფართო ცოდნის, ასევე ვიწრო დარგობრივი ცოდნის მიღებას, მისი ანალიზის, კრიტიკული შეფასების, დამოუკიდებლად მოპოვების უნარს; ასევე სპეციალისტებისათვის საკუთარი მოსაზრებების გაცნობის უნარს და მიღებული ცოდნის გადაცემას - სწავლებას პროფესიული განათლების საფეხურზე; შესაბამისად არის განსაზღვრული 5 კომპეტენცია: A - სფეროს ცოდნა, რომელსაც კურსდამთავრებულის მიერ პროგრამით გათვალისწინებული საგნების შესწავლის შედეგად მიიღება (სამართალი, ეკონომიკა, მენეჯმენტის და სოციალურ-პოლიტიკური საგნები); B - ინფორმაციის მოძიება, შეგროვება, განმარტება, გაანალიზება და დასკვნების ჩამოყალიბება; C - საჯარო მმართველობისათვის აუცილებელი ცოდნის კრიტიკულად გააზრება; D - თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საქმიანობის დაგეგმვა და საჯარო ორგანიზაციის მართვა; E - პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება, სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის ინფორმაციის გადაცემა ზეპირად, წერილობით, ქართულ და უცხო ენებზე; F - ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპების, თავისებურებებისა და უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძვლების გაანალიზება; განსაზღვრულია ასევე G კომპეტენცია, რომელიც გულისხმობს უწყვეტ პროფესიულ

განვითარებაზე ორიენტირებული სპეციალისტის პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში მონაწილეობას, პასუხისმგებლობას, ეთიკური და სამოქალაქო ღირებულებების გათავისებას.

სწავლის შედეგების მიღწევა განსაზღვრულია ასევე თითოეული დისციპლინის მიხედვით ძირითადი სპეციალობის სავალდებული კურსებზე, ასევე განსაზღვრულია თითოეულ სილაბუსში, სადაც გაწერილია სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასებაც.

სწავლის შედეგების შეფასების მიხედვით განისაზღვრება მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელების უნარის მქონე სტუდენტები.

პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება დადგენილი სწავლის შედეგების შეფასების წესის მიხედვით; შეფასების ჩატარების პერიოდულობაა - სემესტრულად ან/და საჭიროებისამებრ; რეგულარულად მუშავდება სტატისტიკური მონაცემები; განსაზღვრულია შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი მეთოდები ასახულია სილაბუსებში და მოიცავს სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების შეფასებას: ტესტი, ესსე, პორტფოლიო, სიმულაცია, სალიცენზიო გამოცდა; საბოლოო ქულა არ მიიჩნევა პირდაპირ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სწავლის შედეგი ბევრ სხვა უნარს და ცოდნასაც მოიცავს. ამიტომ შედეგის შეფასებისას გამოიყენება კონკრეტული დავალების შეფასება, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ შედეგს.

შეფასების არაპირდაპირ მეთოდებად გამოიყენება სტუდენტის თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება.

საბაკალავრო ნაშრომი - capstoune project - გამოიყენება თითოეული სწავლის შედეგის შემაჯამებელ შეფასებად. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის განხორციელების პერიოდისათვის საბაკალავრო ნაშრომის შესრულება არ არის სავალდებულო (ორი ალტერნატიული არჩევითი კურსის ნაცვლად), იგეგმება ნაშრომის სავალდებულო კომპონენტად ქცევა.

სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით. კურსის ფარგლებში გამოითვლება კომპეტენციათა ერთეული (CU), რომელიც წარმოადგენს კურსში შემავალი კომპეტენციების ხვედრით წილს. ამგვარი ერთეულის შემუშავებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საშუალება ეძლევა თვალყური ადევნოს სტუდენტის არა მხოლოდ აკადემიურ პროგრესს, არამედ მის მიერ სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციების დაგროვებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმით განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პერიოდულობა და ვადები; სასწავლო კურსების სილაბუსების შემოწმების ვადები - სემესტრის დაწყებამდე ორი კვირით ადრე; კონსულტაციების ცხრილი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და დასწრების (აქტივობის) ანალიზი და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება; აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების გამოკითხვების ჩატარება; მობილობის

ფარგლებში კრედიტების აღიარების მონიტორინგი; საერთაშორისო პროექტების შეფასება; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მუდმივი კოორდინაცია; ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შეფასება; მომავალი წლის დაგეგმვა; აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის მონიტორინგი; სამეცნიერო მუშაობის მონიტორინგი.

თითოეული კურსის ფარგლებში, დისციპლინის და შესასრულებელი დავალებების შესაბამისად, გამოითვლება სამიზნე ნიშნულები, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბამის დისციპლინებში მისაღები კომპეტენციის მინიმალური ოდენობა და ჯამში პროგრამით დასახული შედეგების/კომპეტენციების ის ოდენობა, რომელიც სტუდენტმა მიიღო/მიაღწია საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების შეფასების არსებული სისტემისა და სამიზნე ნიშნულების შესახებ სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის დონე არ არის საკმარისი. სასურველია, შეფასების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა და სტუდენტებისათვის სისტემის თავისებურებების დეტალური განმარტება. უნდა ითქვას ისიც, რომ სტუდენტები იცნობენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 3 ბრძანებით განსაზღვულ შეფასების სისტემას და ქულათა განაწილებას.

სწავლის შედეგების შეფასების მიხედვით ხდება პროგრამის ხარისხის შეფასება და პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების აქტივობების შემუშავება; პროგრამის შეფასების ერთ-ერთ სამიზნე ნიშნულად მიიჩნევა 91-ზე მეტი ქულის მიღება სტუდენტთა უმეტესობის მიერ, რაც მიუთითებს პროგრამის სიმარტივეზე, ლექტორის ლიბერალურ დამოკიდებულებაზე, ან სტუდენტების განსაკუთრებულ ნიჭიერებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის განსაზღვრული უმაღლესი შეფასების მქონე სტუდენტთა დასაშვები პროცენტული რაოდენობა. სასურველია, ასევე განისაზღვროს უარყოფითი შეფასების დასაშვები პროცენტული რაოდენობაც. სასურველია, ასევე, აკადემიური შეფასებების და ქულების გადანაწილების სტატისტიკური გაანალიზება თითოეული საგნის ფარგლებში, რაც კონკრეტული ლექტორის სწავლების ხარისხის შეფასების კარგი მექანიზმია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მიზნის შედეგებთან შესაბამისობის რუკა
- სწავლის შედეგების რუკა საჯარო მმართველობაში
- საგნების სილაბუსები
- სწავლის შედეგების შეფასების წესი (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს დადგენილებით)
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმა (მოკლევადიანი, გრძელვადიანი)
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა

- გეგმის დანართი
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- უმაღლესი დადებითი და უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტების საერთო პროცენტული რაოდენობის განსაზღვრა, როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების სამიზნე ნიშნულისა, რომელიც გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის;
- კონკრეტული საგნის ფარგლებში აკადემიური შეფასების და ქულათა გადანაწილების სტატისტიკური ანალიზი ლექტორის სწავლების ხარისხის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემისა და სამიზნე ნიშნულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და დეტალური განმარტება აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც აყალიბებს პროგრამაზე ჩარიცხვის პირობებს, როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ასევე, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. პროგრამით ასევე გაწერილია ის პირობები და პროცედურები, რაც შესაძლებელს ხდის პროგრამაზე ჩარიცხვას მობილობის წესით, დადგენილი ვადების, პროცედურებისა და წესების დაცვით. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული პირობები გაწერილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ეს კომპეტენცია გადაცემული აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას. როგორც ონლაინ ვიზიტისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის მსურველთათვის ასევე ტარდება ღია კარის დღეები, პრეზენტაციები და სხვადასხვა სამოტივაციო ხასიათის ღონისძიებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ონლაინ ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები
- ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი,
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარი და სხვა საინფორმაციო საშუალებები
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამებზე მობილობით ჩარიცხვის ვადებისა და პროცედურების დადგენა განეკუთვნება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კომპეტენციას და არა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისას. შესაბამისად, ეს ჩანაწერი სასურველია, გასწორდეს თვითშეფასების ანგარიშში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანების შესაბამისად, დაზუსტებული და პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია ,,საჯარო მმართველობის ბაკალავრი“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად. როგორც ონლაინ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, პროგრამის დადგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მოსაზრებები. პროგრამით გაწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და სწავლის შედეგები. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS-ის კრედიტს, წელიწადში 60 ECTS-ის კრედიტს. თითოეული სემესტრი დაგეგმილია 20 კვირაზე შესაბამისად, საბაკალვრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს ოთხ წელს. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტები შემდეგნაირად ნაწილდება: 40 კრედიტი - თავისუფალი (სავალდებულო) კურსები; 120 კრედიტი - ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები; 15 კრედიტი- ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები; 65 კრედიტი - თავისუფალი კურსები. პროგრამაში შემავალი კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები მეტწილად ლოგიკურად არის მიმართული ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასურველია, რომ რამდენიმე კურსის წინაპირობა გადახედილ იქნას შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

სასწავლო კურსს **დემოკრატია და მოქალაქეობა,** რომელიც მე-3 სემესტრშია შეთავაზებული, არ აქვს წინაპირობა, მაშინ როდესაც კურსის მიზანია: "სტუდენტს შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი მახასიათებლების, მოქალაქეთა თანამონაწილეობის/ჩართულობის ფორმებისა და გზების, ადამიანის უფლებების, საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიული მოქალაქეობის პროცესების და მათთან დაკავშირებული ზოგადი და კონკრეტული პრობლემების შესახებ; განუვითაროს ქართულ საზოგადოებაში დემოკრატიული პრინციპების განხორციელებისა თუ დანერგვის უნარი".

სწორედ კურსის მიზნისა და სწავლების შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კურსის წინაპირობად განისაზრვროს კონსტიტუციური სამართალი და სასწავლო კურსის შეთავაზება მოხდეს არა მე-3 სემესტრში არამედ მე-4 სემესტრში, როდესაც სტუდენტებს უკვე ექნებათ გავლილი კონსტიტუციური სამართალი.

რაც შეეხება **საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალს,** როგორც პროგრამიდან ირკვევა აღნიშნული კურსის წინაპირობაა შესავალი სამართალმცოდნეობაში, თუმცა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ პროგრამის კურიკულუმი ითვალისწინებს საერთაშორისო საჯარო სამართლის სწავლებას, მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო საჯარო სამართალი, ხოლო **ევროკავშირის სამართლის** წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, ნაცვლად საგნისა „შესავალი სამართალმცოდნეობაში", რათა უზრუნველყოფილ იქნას ერთ სფეროს მიკუთვნებული სასწავლო კურსების გადანაწილება ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, საგნების შესაბამისი სემესტრული შეთავაზების გზით.

აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რამდენიმე კურსი შემუშავებულ და დანერგილ იქნა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ევროკავშირის ERASMUS-ის პროექტების ფარგლებში, კერძოდ: სასწავლო კურსის - აკადემიური წერა - ხელახლა დამუშავება და სტუდენტებისათვის ორ ენაზე (ქართულად და ინგლისურად) შეთავაზება მოხდა პროექტ INTEGRITY-ის ფარგლებში, ხოლო სასწავლო კურსის „კარიერის მართვა" ინგლისური ვერსია შემუშავებულ იქნა სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო პროექტის PICASA-ს ფარგლებში.

ასევე კარიერის მართვის სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებს ექნებათ საშუალება სწავლების მეთოდად გამოიყენონ Blended Learning შერეული ტიპის სწავლება, რომელიც როგორც საპილოტე ვერსია შემუშავებულია სასწავლო უნვიერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო პროექტის DARE-ს ფარგლებში.

პროგრამაზე მოქმედებს და პრაქტიკულ კომპონენტში ინტეგრირებულია სოციალური აქტივობის სავალდებულო კომპონენტი, რაც ცალსახად არის საუკეთესო პრაქტიკის თვალნათელი მაგალითი, რადგან:

სოციალური აქტივობის კომპონენტის მიზანია - სტუდენტს, როგორც მომავალ საჯარო მმართველს, ჩამოუყალიბოს აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, ადამიანთა მიმართ თანაგრძნობის, სოციალური და პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა და დაეხმაროს მომავალ საჯარო მოხელეს ადამიანის უფლებების, სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების პრინციპებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ამ მიზნის მისაღწევად ყველა სტუდენტი ვალდებულია, განახორციელოს ისეთი აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის ირგვლივ მყოფი ისეთი მოწყვლადი და სუსტი სოციალური ფენის პრობლემების გათავისებას და მონაწილეობის მიღებას მათ მოგვარებაში, როგორებიცაა: სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახები ან ინდივიდები; ძალადობის მსხვერპლი პირები (მათ შორის ბავშვები); შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათ ოჯახები; ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები; ხანდაზმულები; მრავალშვილიანი, შეჭირვებული ოჯახების მარტოხელა მშობლები; იძულებით გადაადგილებული პირები.

სოციალური აქტივობის განხორციელება უნდა მოხდეს პროფესიული პრაქტიკის განმავლობაში, არანაკლებ ერთი კვირის მანძილზე. ჩატარებული საქმიანობის შესახებ სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი ვალდებულია გააკეთოს პრეზენტაცია ვიზუალური მასალის თანხლებით, პრაქტიკის ანგარიშის წარდგენისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ონლაინ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“,
- ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“
- ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები, ფაკულტეტის საბჭოს ოქმი.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი კვლევის შედეგების ანალიზი, რეკომენდაციები.
- აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო მმართველობის“ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები

რეკომენდაციები:

გადაიხედოს დემოკრატიისა და მოქალაქეობის სასწავლო კურსის წინაპირობა და ასეთად განისაზღვროს კონსტიტუციური სამართალი და შესაბამისად მე-3 სემესტრის ნაცვლად აღნიშნული კურსი შეთავაზებულ იქნას მე-4 სემესტრში.

საერთაშორისო ორგანიზაციების სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო საჯარო სამართალი, და ევროკავშირის სამართლის წინაპირობად საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი. ამის შესაბამისად სასურველია, რომ

შეიცვალოს საგნების სემესტრული განაწილება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ერთ სფეროს მიკუთვნებული სასწავლო კურსების გადაწყობა ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პროგრამაზე მოქმედი და პრაქტიკულ კომპონენტში ინტეგრირებული, საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებზე ორიენტირებული სოციალური აქტივობის სავალდებულო კომპონენტი, რაც ცალსახად არის საუკეთესო პრაქტიკის თვალნათელი მაგალითი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და კლასიფიკატორის შესაბამისად დაზუსტდა პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია, განისაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისად, შეიცვალა სასწავლო კურსები, სასწავლო კურსების სტატუსი (სავალდებულო/აჩევითი/თავისუფალი). განისაზღვრა სწავლის შედეგები, რომლებიც გაიწერა ცალკეული კურსების სილაბუსებში და შემუშავდა სწავლის შედეგებისა და სწავლების მეთოდების შესაბამისობის რუკა. ○ პროგრამაში არჩევითი კურსის სახით დაემატა „ევროკავშირის სამართალი“.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსების სწავლის შედეგებს.

როგორც პროგრამაშია გაწერილი, რომ განახლებული კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრა სამ კომპეტენციად: **ცოდნა და გაცნობიერება, უნარები და ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა**.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და თანდართული სილაბუსები ცხადყოფს, რომ პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების ერთობლიობა და თითოეული კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა (ზოგიერთი კურსის გარდა რომელიც დეტალურად არის გაწერილი ქვემოთ), უზრუნველყოფს სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების ჩამოყალიბებას და პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსების დეტალური განხილვისა და აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

საჯარო ადმინისტრირების თეორია და პრაქტიკა - აღნიშნული სპეციალობისთვის ერთ-ერთ ძირითად კურსს წარმოადგენს. კურსი შედგენილია დენჰარდტების სახელმძღვანელოს „საჯარო მართვა - მოქმედების კურსი“. შესაბამისად, სასურველია, კონკრეტული კურსის ფარგლებში მოხდეს როგორც ლიტერატურის, ასევე შინაარსობრივი კომპონენტის განახლება და ქართულ რეალობაზე ადაპტირება.

სამოხელეო სამართალი - მიზანშეწონილია, რომ სასწავლო კურსის სავალდებულო სასწავლო მასალებს დაემატოს ანა ფირცხალაშვილის თანაავტორობით 2018 წელს გამოცემული საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილებით მიღებული “პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის” შესაბამისად დამტკიცებული სახელმძღვანელო და შესაბამისი დანართები.

ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი - სილაბუსით მოცულ ზოგიერთ თემაში საკითხები ძალიან ინტენსიურად არის თავმოყრილი, რაც აძნელებს სტუდენტების მხრიდან ინფორმაციის თანმიმდევრულად აღქმას, იმ პირობებში, როდესაც ეს ინფორმაცია 2 საათიანი ლექციის მსვლელობისას უნდა იქნას ახსნილი. მაგ. სილაბუსის პირველი თემა ეთმობა:

თემა 1. ადმინისტრაციული სამართალი და საჯარო მმართველობა

ადმინისტრაციული სამართლის ცნება და განვითარება, მიზნები, დამახასიათებელი ნიშნები. სისტემა. ზოგადი და განსაკუთრებული ადმინისტრაციული სამართალი. საგანი, მეთოდი, წყაროები. ადმინისტრაციული სამართლის დარგის კოდიფიკაცია, თანამედროვე ადმინისტრაციული სამართლის ფორმირების მიმართულებები: საჯარო მმართველობის სფეროს საკანონმდებლო მოწესრიგება, ადმინისტრაციული იუსტიციის განვითარება.

ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმები და ურთიერთობები. ადმინისტრაციული სამართლის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლები, კონსტიტუციური სამართლის გავლენა ადმინისტრაციულ სამართალზე, დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპები. ევროკავშირისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპები ადმინისტრაციულ სამართალში.

ადმინისტრაციული სამართალი როგორც საჯარო სამართლის ნაწილი და კერძო სამართალთან მისი ფარგლები, მმართველობის კერძოსამართლებრივი საქმიანობის ფორმები, მმართველობის აღსრულება კერძოსამართლებრივი ფორმებით (ე.წ. ადმინისტრაციული-კერძო სამართალი). ადმინისტრაციულ ნორმებთან ერთად დამატებით (სუბსიდიარულად) სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალში და მასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მისი მიზანი. კოდექსის მოქმედების სფერო, ტერმინთა განმარტება. ვისზე არ ვრცელდება კოდექსი. ადმინისტრაციული ორგანოს ცნება, ადმინისტრაციული ორგანო და სახელმწიფო მმართველობის ორგანო, სახელმწიფო მმართველობის ცნება და დამახასიათებელი ნიშნები. საჯარო მმართველობის ცნება. ადმინისტრაციულ ორგანოთა სახეები. „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობს წესის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედების სფერო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და მათ შესახებ მოქმედი კანონმდებლობა.

ამდენი საკითხის ერთ 2 საათიან ლექციაში მოქცევა ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას შესაბამისად სასურველია, მოხდეს ან ლექციით მოცული საკითხების შემცირება ან სალექციო საათების რაოდენობის გაზრდა. იგივე მდგომარეობაა აღნიშნული სილაბუსის სხვა რამდენიმე თემასთან დაკავშირებით.

საქართველოს კონსტიტუციური სამართალი - სასურველია, რომ მოხდეს ან ლექციით მოცული საკითხების შემცირება ან სალექციო საათების რაოდენობის გაზრდა. აღნიშნული მდგომარეობაა მოცემული სილაბუსის რამდენიმე თემასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო საჯარო სამართალი - სასურველია რომ მოხდეს ან ლექციით მოცული საკითხების შემცირება ან სალექციო საათების რაოდენობის გაზრდა. იგივე მდგომარეობაა აღნიშნული სილაბუსის რამდენიმე თემასთან დაკავშირებით.

შესავალი სამართალმცოდნეობაში - ძირითადი ლიტერატურის ნაწილში განსაკუთრებით იმ თემებთან დაკავშირებით, სადაც მითითება კეთდება საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაზე, სასურველია გამოყენებულ იქნას ასევე ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი სხვა წყაროებიც მაგალითად: მაგ. პ. მალანჩუკი - აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ან ლ. ალექსიძე - თანამედროვე საერთაშორისო სამართალი.

აკადემიური წერა - სასურველია, რომ აღნიშნული კურსის ფინალური შეფასება, წერითი გამოცდის ნაცვლად განხორციელდეს აკადემიური ნაშრომის კომპონენტით, კერძოდ ან რეფერატით ან სამეცნიერო სტატიით.

უცხო ენის სწავლების კომპონენტთან დაკავშირებით სასურველია, რომ ლექცია-სემინარები დაიტვირთოს შესაბამისი პროფესიული ტერმინოლოგიით, რათა სტუდენტებს ქონდეთ შესაძლებლობა უცხო ენის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში ასევე დაეუფლონ სპეციალიზაციის აუცილებელ უცხოენოვან ტერმინოლოგიას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ონლაინ ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები.
- სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან (Scopus, Mendeley) წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტი- სამეცნიერო ტექნიკური პროდუქციის გადაცემაზე ხელშეკრულება № 2018/48, პროგრამა
- საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარების წესი
- ინფორმაცია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების, ინსტრუქციების, ჩატარებული შეხვედრების, კონსულტაციებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ
- ბიბლიოთეკის დებულება
- ბიბლიოთეკისთვის ნაჩუქარი დოკუმენტების მიღებისა და შეფასების წესი
- ა(ა)იპ ,,საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საბიბლიოთეკო ქსელის კონსორციუმ 2017“ გაფორმებული ხელშეკრულება
- სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები ლიტერატურის შესყიდვებთან დაკავშირებით

რეკომენდაციები:

კონკრეტულ სილაბუსებში (სამოხელეო სამართალი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, საქართველოს კონსტიტუტციური სამართალი, საერთაშორისო საჯარო სამართალი) - საკითხების ჩაშლა, ლექციაზე მიწოდებული მასალის რაოდენობის შემცირების მიზნებისათვის;

კურსის **საჯარო ადმინისტრირების თეორია და პრაქტიკა** ფარგლებში განახლდეს ძირითადი ლიტერატურა და კურსის პრაქტიკული კომპონენტი გაძლიერდეს ქართული რეალობის, საქართველოს საჯარო სექტორში მიმდინარე მოვლენების ამსახველი მასალით.

სასურველია, რომ კურსის სამოხელეო სამართალი - სავალდებულო სასწავლო მასალებს დაემატოს ანა ფირცხალაშვილის თანაავტორობით 2018 წელს გამოცემული საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილებით მიღებული “პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის” შესაბამისად დამტკიცებული სახელმძღვანელო და შესაბამისი დანართები.

სასურველია, რომ კურსის შესავალი სამართალმცოდნეობაში - ძირითადი ლიტერატურის ნაწილში განსაკუთრებით იმ თემებთან დაკავშირებით, სადაც მითითება კეთდება საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაზე, გამოყენებულ იქნას ასევე ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი სხვა წყაროებიც მაგალითად: მაგ. პ. მალანჩუკი - აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ან ლ. ალექსიძე - თანამედროვე საერთაშორისო სამართალი.

აკადემიური წერა - სასურველია, რომ აღნიშნული კურსის ფინალური შეფასება, წერითი გამოცდის ნაცვლად განხორციელდეს აკადემიური ნაშრომის კომპონენტით, კერძოდ ან რეფერატით ან სამეცნიერო სტატიით.

უცხო ენის სწავლების კომპონენტის გაძლიერება და საჯარო ადმინისტრირების

პროგრამის მიზნებთან დაახლოება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ განახლდა ლიტერატურა, მოდიფიცირდა სილაბუსები, გასწორდა ბიბლიოგრაფიული და ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, შინაარსობრივად გაიმართა და საჯარო მმართველობისათვის მნიშვნელოვანი თემებით გაძლიერდა შემდეგი კურსები: „კონსტიტუციური სამართალი“, „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება“, „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, „სამოხელეო სამართალი“, „საინფორმაციო ტექნოლოგიები“, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“, „შრომის სამართალი“, „საარჩევნო სამართალი“, „საგადასახადო სამართალი“, „საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია“. ○ შეიცვალა პრაქტიკის კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (8 ECTS 10-ის ნაცვლად), გაძლიერდა პრაქტიკული აქტივობების კომპონენტი, ძირეულად განახლდა შინაარსობრივი ნაწილი. ○ აკადემიური წერის კურსი, რომლის შინაარსი, ექსპერტთა შეფასებით, შეესაბამებოდა მართლწერისა და მართლმეტყველების კურსს, მოდიფიცირდა, Erasmus+ -ის საერთაშორისო პროექტის INTEGRITY-ის ფარგლებში, ავსტრიის, ბრიტანეთისა და შვედეთის უნივერსიტეტების გამოცდილებით. შემუშავდა სახელმძღვანელო. 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, საპილოტედ ჩატარდა შუალედური და დასკვნითი გამოცდები ელექტრონული ფორმით „აკადემიურ წერაში“, სადაც გამოყენებულ იქნა სრულიად განსხვავებული შეფასების მეთოდი.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია როგორც პრაქტიკული კომპონენტების შეთავაზება, ასევე სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარების შესაძლებლობები, კერძოდ, როგორც ონლაინ ვიზიტის განხორციელებისას დადგინდა, პრაქტიკის განხორციელების მიზნებისათვის სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები: 1) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან; 2) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან; 3) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან. ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარესთან და ზუგდიდის მერის მოადგილესთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ზუგდიდის ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები დაინტერესებულნი არიან მიიღონ საჯარო მმართველობის პროგრამის სტუდენტები, ისინი უშუალოდაც მონაწილეობენ პროგრამის სასწავლო კომპონენტების პრაქტიკული ელემენტებით გაჯერების პროცესში და სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელებს შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან სასწავლო კურიკულუმის უფრო მეტად დაახლოების მიმართლებით. სტუდნეტებისათვის კვლევითი და სამეცნიერო უნარების გამომუშავებისათვის სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას საუნივერსიტეტო ერთობლივ კვლევით პროექტებში. ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვისა და მათი ხელშეწყობის მიზნებისათვის, საუკეთესო ნაშრომები იბეჭდება სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებულში. გარდა ამისა სისტემატურად ტარდება შიდა საუნივერსიტეტო და საერთაშორისო კონფერენციები, საზაფხულო და ზამთრის სკოლები უცხოეთიდან და საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან მოწვეული აკადემიური პერსონალისა და პრაქტიკოსების მონაწილეობით. სასწავლო უნივერსიტეტი ასევე აფინანსებს შრომათა კრებულების გამოქვეყნებას, მიზნობრივ შიდა და საზღვარგარეთ სამივლინებო თანხებს, მონოგრაფიების, დამხმარე სახელმძღვანელოების, სამეცნიერო პროექტებს. სტუდენტთათვის მოტივაციის ამაღლების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს წახალისების/ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა. სასწავლო უნივერსიტეტში დაინერგა და სტუდენტების საჭიროებებს მოერგო აკადემიური წერისა და კარიერის მართვის კურსები. სტუდენტებს ასევე აქვთ წვდომა სასწავლო უნივერსიტეტში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან და საბიბლიოთეკო ონლაინ რესურსებთან რიცით უზრუნველყოფილია, როგორც საკონფერენციო ნაშრომების ასევე ტრენინგებსა და სემინარებში სტუდენტების მონაწილეობის შესაძლებლობა.

სასწავლო უნივერსიტეტი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პლაგიატის თავიდან აცილებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის ჩამოყალიბებას სტუდენტებში. აღსანიშნავია, რომ Erasmus+-ის პროექტის INTEGRITY ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტში დაინერგა პროგრამა Turnitin-ი რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სასწავლო კურსების წერითი კომპონენტებისა და პრაქტიკის ანგარიშების შემოწმება პლაგიატზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ონლაინ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები; ○ ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები ○ ,, სამეცნიერო განყოფილების დებულება“ ○ ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების, დაფინანსებისა და განკარგვის წესი“ ○ ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ზაფხულის/ ზამთრის სკოლის ჩატარების წესი“ ○ მემორანდუმები ○ კონფერენციის მასალები. ○ სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია ○ სამეცნიერო განყოფილების სტრატეგიული გეგმა ○ სასწავლო უნივერსიტეტში კვლევითი პროექტების გამოცხადებისა და დაფინანსების წესი ○ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მასალები ○ ,, Erasmus+-ის საერთაშორისო პროექტის ფარგლებში INTEGRITY-ის პროგრამით დანერგილი პროგრამა Turnitin-ი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ დაინერგა Turnitin პროგრამა, მისი გამოყენება გათვალისწინებულ იქნა იმ კურსების სილაბუსებში, სადაც წერითი კომპონენტით შეფასება ხდება.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი იძლევა ამომწურავ ინფორმაციას სწავლება-სწავლის მეთოდებზე. აღნიშნული დოკუმენტების დეტალური გაცნობისა და ონლაინ ვიზიტის განხორციელების პროცესში ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ნიშანდობლივია, რომ გარდა ადგილობრივი გამოცდილებისა პროგრამის ფარგლებში სწავლება-სწავლის მეთოდების დახვეწა განვითარებისა და სტუდენტზე ორიენტირებულობის უფრო მეტად უზრუნველყოფის მიზნებისათვის გამოყენებულია საერთაშორისო პროექტების პარტნიორებთან არსებული თანამშრომლობის მექანიზმები. Erasmus+ პროგრამის ფაგლებში დაფინანსებულმა პროექტმა - STAR შეიმუშავა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების სახელმძღვანელო. აღნიშნული პროექტის ფარგლებში პორტუგალიის, მოლდოვასა და ჩეხეთის გამოცდილების გაზიარებით გადამზადდა პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი და პროექტის ფარგლებში შექმნილი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელო აქტიურად გამოიყენება საქართველოში და საზღვარგარეთ. პროექტის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სახელმძღვანელო ვიდეორესურსი ატვირთულია ელექტრონულ პლატფორმაზე და გაზიარებულია უცხოელი პარტნიორების მიერ.

სწავლება-სწავლის მეთოდების სრულყოფის მიზნით შემუშვებულია მეთოდების

სახელმძღვანელო, რომელიც სწავლების პროცესში ითვალისწინებს პრობლემაზე დაფუძნებული, დავალებაზე დაფუძნებული, პროექტზე დაფუძნებული და კოლაბორაციული მეთოდის გამოყენებას. როგორც ონლაინ ვიზიტისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო და პროგრამის თვითშეფასების ანგარიშშიც აისახა: სწავლისა და სწავლების მეთოდების მუდმივი დახვეწისა და სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების დანერგვის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და პოლიტიკის (საზღვრისპირა რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ემსახურება იძულებით გადაადგილებულ პირებს აფხაზეთიდან) გათვალისწინებით, Moodle პალტფორმის გამოყენებით ინერგება (blended learning) შერეული ტიპის ელექტრონული სწავლება. აღნიშნული მიდგომა სტუენტებისათვის ხელმისაწვდომს გახდის ლექციის გეგმებს, სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდებს და მასალებს. ეს მასალები 2019-2020 სასწავლო წლიდან საპილოტეა და მალე გახდება ყველასთვის ხელმისაწვდომი. აღნიშნული გამოცდილება სასწავლო უნივერსტეტში ინერგება საერთაშორისო პროექტების (DARE, STAR, INTEGRITY) ფარგლებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ონლაინ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. ○ მეთოდების კატალოგი. ○ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ○ ინდივიდუალური გეგმები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, რაც მთავარია გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენტების შეფასება ხდება სასემინარო აქტივობებში მონაწილეობით, პრეზენტაციებით, შუალედურით და დასკვნითი გამოცდით. სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსებში შესაბამისი კომპონენტების მიხედვით და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს აპელაციის სისტემა და სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ნახოს თავისი ნაწერი ან შესაბამისი კომისიის თანდასწრებით განიხილოს გამოცდის ქულა. ინტერვიუების დროს გამოირკვა, რომ სტუდენტები უნივერსტეტში არსებული შეფასების მექანიზმების შესახებ ფლობენ ამომწურავ ინფორმაციას. აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესებს ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით და რეაგირებს სტუდენტის თხოვნასა და წინადადებაზე.

განხორციელებული ინტერვიუების შედეგად შეიძლება დავადგინოთ, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო კურსის პროგრამა და სილაბუსები;

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ინფორმაციას იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და ასევე, იღებენ სათანადო კონსულტაციებს შესაძლო დასაქმებასთან დაკავშირებით. ისინი გრძნობენ კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან. სასწავლო უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და საერთაშორისო ელექტრონული რესურსები. მიუხედავად ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს არ აქვთ ინფორმაცია რომელ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან აქვთ წვდომა. სტუდენტების ინფორმირებულობისთვის, სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სოციალური ქსელები, ელექტრონული მიმოწერის საშუალებები და უნივერსიტეტის ვებგვერდი. სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტებთან კომუნიკაციის კომპონენტი და მიაწოდოს მათ ინფორმაცია რომელ ელექტრონულ ბაზებთან აქვთ წვდომა და სტუდენტები ინფორმირებულნი იყვენენ ამის შესახებ. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში. გარდა ამისა, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სახის სტიპენდიებსა და გრანტებს. სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს უცხო ენების, როგორც სასწავლო, ასევე დამატებითი უფასო შემსწავლელი კურსები, თუმცა ინტერვიურების დროს გამოირკვა, რომ სტუდენტები არ ფლობენ პროფესიულ უცხოურ ტერმიონოლოგიას. სწორედ ამიტომ მათ სურვილს წარმოადგენდა უსდ-ში გაძლიერებულიყო უცხო ენების და მათ შორის ინგლისური ენის სწავლება. სტუდენტები კითხვარების საშუალებით აფასებენ გავლილ სასწავლო კურსებს, მის საჭიროებას და ლექტორებს. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და

კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი პროგრამის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს. სტუდენტთა ხელშეწყობის ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად შეიძლება დასახელდეს დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის აუცილებლობა 2020 გაზაფხულის სემსტრში, რაც, გარკვეულწილად, გამოწვევა იყო უსდ-სათვის, თუმცა, არსებული ინფრასტრუქტურა და აღჭრუვილობა საშუალებას იძლევა, სრულყოფილად განხორციელდეს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები. შედარებით მეტი სირთულე შეიქმნა სტუდენტებისათვის, რომელთა ნაწილს არ აქვს პერსონალური კომპიუტერი ან მუდმივი წვდომა ინტერნეტთან. ამ თვალსაზრისით ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებია აფხაზეთში მაცხოვრებელი და იძულებით გადაადგილებული პირები. თუმცა, უსდ-ს ადმინისტრაციის ძალისხმევით ყველა პრობლემური სტუდენტი იდენტიფიცირებულია და დასახულია ხარვეზების აღმოფხვრის გეგმაც. განისაზღვრა სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც არ აქვს წვდომა ინტერნეტთან, დაბალმოტივირებული სტუდენტების რაოდენობა და ასევე ის სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულები არიან სპეციალურ სამსახურებში და საგანგებო ვითარების გამო ვერ შეძლეს სასწავლო პროცესში ჩართვა. მათთვის ეტაპობრივად არის განსაზღვრული სასწავლო მასალის ათვისებისა და გამოცდების ჩაბარების განრიგი, ისევე, როგორც საზაფხულო სკოლის დატვირთვა და ვიდეო-ლექციების ბანკის შექმნა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან; ○ კითხვალი და ანალიზი; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია უსდ-მ გააძლიეროს სტუდენტებთან კომუნიკაციის კომპონენტი და მიაწოდოს მათ ინფორმაცია რომელ ელექტრონულ ბაზებთან აქვთ წვდომა და სტუდენტები ინფორმირებულნი იყვენენ ამის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის აუცილებლობის გამო სტუდენტების საჭიროებების იდენტიფიკაცია, მათი სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა და შექმნილი ხარვეზების აღმოფხვრის დაგეგმვა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა

წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსის ფუნქციები, დატვირთვა და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ახალი კადრების მოძიების დროს უსდ ხელმძღვანელობს კვალიფიკაციის და ასევე უცხო ენის ფლობის შეფასებით, ცდილობს ახალი და მზარდი კადრების მოზიდვას.

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვავს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების, პიროვნული და პროფესიული განვითარების ვალდებულებებს და ზოგადად, პერსონალის მართვის ძირითად პრინციპებს, როგორიცაა დასაქმება, მოზიდვა, არჩევა და სხვ.

აკადემიური პერსონალის მინიმალური დატვირვის განსაზღვრის წესის შესაბაბამისად, განსაზღვრულია აფილირებული აკადემიური სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა როგორც სასწავლო პროცესებში, ასევე სამეცნიერო მუშაობაში. ეს ითვალისწინებს მინიმუმ ორი სამეცნიერო ნაშრომის შესრულებას ყოველ აკადემიურ სასწავლო წელს.

აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების რაოდენობა შეესაბამება პროგრამის მოცულობას, სტუდენტების რაოდენობას და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამაში ჩართულია 5 პროფესორი (აფილირებული), 12 ასოცირებული პროფესორი (აქედან 8 აფილირებული) და 24 მოწვეული სპეციალისტი, მათ შორის, ძირითადი მოდულის კურსებს ახორციელებს ერთი პროფესორი და 8 ასოცირებული პროფესორი; ასევე 44 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მიღებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით და შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას და პროგრამის მიზნებს.

პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომელიც აქტიურადაა ჩართული პროგრამის შინაარსობრივი მხარის შემუშავებასა და მომავალი განვითარების დაგეგმვაში. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას აქტიურად იღებს ფაკულტეტის დეკანიც, რომელიც ამავდროულად პროგრამაში შემავალ ერთ-ერთ კურსს (აკადემიური წერა) ხელმძღვანელობს.

პროგრამის ხელმძღვანელები და ფაკულტეტის ადმინისტრაცია ჩართულები არიან სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონსულტირების პროცესში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია განისაზღვრება უსდ-ს წესდებით. არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორისა და ასოცირებული პროფესორებისაგან. ისინი, მოწვეულ პერსონალთან ერთად, მონაწილეობენ სასწავლო პროცესში და ჩართულნი არიან სამეცნიერო კვლევებში, რასაც ადასტურებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა:

ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	45
საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	11
ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	26
საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	41

აკადემიური თანამდებობა ყველა პირს დაკავებული აქვს კონკურსის წესით, ფლობენ დოქტორის აკადემიურ ხარისხს, აქვთ საერთაშორისო და ადგილობრივი პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებში და სხვა სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება.

პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალი შერჩეულია როგორც მათი განათლებისა და ცოდნის, ასევე პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისად. უმეტესობა მათგანი კონკრეტული დარგის ან სფეროს პრაქტიკოსია, რაც სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების შეძენის ხელშემწყობი ფაქტორია.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონაწილეობა ძალიან დადებითად შეფასდა როგორც სტუდენტების ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. აღინიშნა მათი მაღალი პასუხისმგებლობა, ინდივიდუალური მიდგომა თითოეული სტუდენტის მიმართ, პრობლემების მოგვარების უნარი და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაწილი, მათ შორის პროგრამის თანახელმძღვანელიც, ცხოვრობს თბილისში, შესაბამისად, მათ ყოველკვირეულად უწევთ ზუგდიდში მგზავრობა, რაც შესაძლებელია პერსონალის მდგრადობის თვალსაზრისით გარკვეული რისკ-ფაქტორი იყოს. თუმცა, უსდ ადმინისტრაცია მაქსიმალურად უწყობს მათ ხელს სასწავლო პროცესის უწყვეტობის შესანარჩუნებლად. პედაგოგებს საშუალება აქვთ, იცხოვრონ უსდ-ს საერთო საცხოვრებელში, რომელიც სრულად არის აღჭურვილი ამ მიზნისათვის, სრულად აქვთ უზრუნველყოფილი ტრანსპორტირება. შეთავაზებულია მოქნილი სალექციო გრაფიკი, რომელიც სემესტრის დასაწყისში დგება მათთან შეთანხმებით, ლექციები ინიშნება შაბათ-კვირას; თითოეულ პედაგოგს ჰყავს ასისტენტი, რომელიც ატარებს სასემინარო მუშაობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კურსებისათვის გამოიყენებოდა ონლაინ სწავლების მეთოდიც. შესაბამისად, დაბალია პერსონალის გადინების მაჩვენებელიც ბოლო 5 წლის პერიოდში, (0/3 აკადემიური პერსონალის და 1/13 მოწვეული პერსონალის შემთხვევაში).

უსდ და ფაკულტეტის ადმინისტრაცია ორიენტირებულია ადგილობრივი კადრების მომზადებასა და მოზიდვაზე. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი

ადგილობრივი დოქტორანტი, ადგილობრივი პრაქტიკოსი სპეციალისტები მოწვეული პერსონალის სტატუსით. პროგრამის თანახელმძღვანელის თქმით, იგეგმება საჯარო მმართველობის სპეციალობით სამაგისტრო პროგრამის გახსნაც, რაც აღნიშნული პრობლემის მოგვარებასაც შეუწყობს ხელს. სასწავლო უნივერსიტეტი, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობს სხვა რეგიონულ უნივერსიტეტებთან (ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი). მათი წარმომადგენლები ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში მოწვეული პერსონალის სტატუსით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს პასუხისმგებლობების განაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვადებულების წესი
- მინისტრის ბრძანება N86/ნ
- მინისტრის ბრძანება N131/ნ უსდ-ს წესდების დამტკიცების თაობაზე (2013)
- აკადემიური პერსონალის მინიმანული დატვირთვის განსაზღვრის წესი
- შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები აფილირებული აკადემიური პერსონალისათვის; არააფილირებული აკადემიური პერსონალისათვის; მოწვეული პერსონალისათვის; მასწავლებისათვის; შესაძლო დასაქმების კანდიდატისათვის (აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში)
- პროგრამის აღწერა
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა
- პროგრამის ხელმძღვანელის დებულება
- პროგრამის ხელმძღვანელის CV
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერა
- პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი (ადმინისტრაციული პერსონალისათვის)
- ინტერვიუს შედეგები პროგრაის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან, უსდ-ს ხელმძღვანელობასთან, ფაკულტეტის დეკანთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს შემუშავებული აქვს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმას და აქტივობებს. ასევე, შემუშავებული აქვს კარიერული ზრდისა და პროფესიული განვითარების მაჩვენებელი 2019 წლისთვის. განსაზღვრულია რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება პერსონალის შეფასება, თუმცა თვისებრივი ინდიკატორი არაზუსტადაა ჩამოყალიბებული („მინიმუმ ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია ადგილობრივ შრომათა კრებულში“).

აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო აქტივობის ხელშეწყობისათვის ფაკულტეტის და უსდ-ს ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები ნაშრომების თუ მონოგრაფიების და კონფერენციებში მონაწილეობის დასაფინანსებლად. არსებობს ყოველწლიური შესაძლებლობა ნაშრომების სასწავლო უნივერსიტეტის შრომების კრებულში გამოცემისათვის. წახალისებულია სტუდენტებისა და პროფესორების თანაავტორებით ნაშრომების მომზადება და გამოცემა. ვიზიტის პერიოდში დასახელდა რამდენიმე კვლვითი პროექტი, რომელშიც ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი. სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან პარტნიორობით მიმდინარე პროექტებში გათვალისწინებულია სტუდენტთა ჩართულობაც. უსდ

აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტთან, ასევე რეგიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. შესაბამისად, მოწვეული პერსონალი და პროფესორები ჩართულები არიან მუნიციპალიტეტის საქმიანობაშიც, რაც კვლევის შედეგების პრაქტიკული აპლიკაციის საშუალებას ქმნის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თაოსნობით, რუსთაველის სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობით ხორციელდება კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები აკადემიური პერსონალისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის, აკადემიური პუბლიკაციის მომზადების, სწავლების თანამედროვე მეთოდების, მონაცემთა ბაზებისა და საძიებო სისტემები და სხვა საკითხებზე. 2019 წელს განხორციელდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება სასწავლო პროცესში დანერგილი სიახლეების გასაცნობად (turnitin, moodle, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება, ახალი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს და კლასიფიკატორის გაცნობა). უსდ-ში არსებული უცხო ენების ცენტრი ფაკულტეტის პროფესორებს წელიწადში თითო სტატიის უფასო თარგმანს სთავაზობს. მათ ასევე უფასოდ მიეწოდებთ უცხო ენის კურსები.

პროგრამა გაწევრიანებულია NISPAcee-ს საერთაშორისო ქსელში, რაც აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართვის და უახლესი საერთაშორისო კვლევების გაცნობის საშუალებას იძლევა.

სხვადასხვა პროექტების ფარგლებში უსდ-ში ტარდება სამეცნიერო კონფერენციები (ძირითადად, რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით);

აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურადაა ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, ასევე ექსტრაკურიკულურ აქტივობებში. ინტერვიუების დროს აღინიშნა მათი მონაწილეობა თვითშეფასების და სამუშაო ჯგუფებში; მათი რეკომენდაციები კურსების მოდიფიცირების თუ დამატების, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების თვალსაზრისით, მიღებული და გაზიარებული იქნა; მაგალითად, დაემატა ზოგადი მენეჯმენტის, ევროპული სწავლებისა და სხვა მიმართულების კურსები; წინა აკრედიტაციის რეკომენდაციების შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ დამუშავდა შედეგი კურსები: ევროკავშირის სამართალი, საერთაშორისო საჯარო სამართალი, საპოლიციო, მართლწესრიგის და სასჯელაღსრულებითი სამართალი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და სხვა.

აღსანიშნავია, ასევე, რომ ერთ-ერთი მოწვეული პედაგოგის ინიციატივით, 2019 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო სასწავლო პრაქტიკის განხორციელების წესი, რომელიც სამი ტიპის პრაქტიკის გავლას ითვალისწინებს: გაცნობითი პრაქტიკა პირველი და მეორე კურსის სტუდენტებისათვის; სპეციალიზირებული პრაქტიკა - უფრო მაღალი კურსის სტუდენტებისათვის, კონკრეტულ დარგობრივ სამსახურებში, საჯარო ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკის და სხვა მიმართულებებით. ამ წესის ამოქმედება და საჯარო მმართველობის სტუდენტების ჩართვა დაგეგმილია 2020-დან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება (გეგმა) ○ კარიერული ზრდისა და პროფესიული განვითარების მაჩვენებელი ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განსაკუთრებული ვითარების გამო, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება. შესაბამისად, ინფორმაცია მიღებულია ინტერვიუებიდან და უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან. პროგრამა სრულად არის აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით და საკმარისი

აუდიტორიებით, როგორც დიდი ზომის - 30 სტუდენტზე გათვლილი - აუდიტორიით, ასევე მცირე, 7-8 სტუდენტისათვის აუდიტორიებით. უსდ-ს 7 კომპიუტერული ლაბორატორიიდან ერთი სრულად პროგრამისთვისაა განკუთვნილი.

არსებობს სტუდენტური სივრცეები - სტუდენტური თვითმმართველობის ოთახი პროექტებზე მუშაობისათვის, სტუდენტური მომსახურების ცენტრები - უწყვეტი განათლების, უცხო ენის შესწავლის და კარიერის განვითარების; ოთახები ბაგა-ბაღის აღმზრდელთა კურსებისთვის, რომლებსაც დაოჯახებული სტუდენტები ხშირად იყენებენ ბავშვების დასატოვებლად სწავლის პროცესში; უსდ-ს აქვს საერთო საცხოვრებელი, რომელიც განკუთვნილია სტუდენტებისათვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან და ასევე თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის, ისევე, როგორც უცხოელი ლექტორებისათვის. გამოყოფილია ასევე ბავშვთა ოთახები, სადაც სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ ბავშვების დატოვება სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, სასწავლო პროცესის განმავლობაში.

მოწყვლადი ჯგუფების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გაკეთდა სტუდენტური ხელშეწყობის ოთახი სრული აღჭურვილობით, რომელსაც საჯარო მმართელობის სპეციალობის სტუდენტები იყენებენ კონფერენციებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა მოწვეულ სტუმრებთან შეხვედრებისა და საჯარო ლექციებისათვის.

უსდ-ს ბიბლიოთეკის მართვა ხორციელდება ინტეგრირებული საბიბლიოთეკო პროგრამის OpenBibilio-ს მეშვეობით, არსებობს ბიბლიკოთეკაში დაცული ბეჭდური და ელექტრონული წიგნების ელექტრონული კატალოგი, რომელშიც 8000-მდე დასახელების წყაროა. ბიბლიოთეკა განთავსებულია რამდენიმე სივრცეში, მათ შორის: სამკითხველო დარბაზი, აღჭურვილი 25 კომპიუტერით; ინდივიდუალური მუშაობისათვის განკუთვნილი სივრცე; ბიბლიოთეკის სპეციალისტებისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცე, სადაც ხდება ახალი წიგნების მიღება, ელექტრონული კატალოგის შედგენა და სხვა. ელექტრონული ბაზებიდან ყველაზე ხშირად გამოყენებადია Elsevier და Scopus; უნდა აღინიშნოს, სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული ბაზების შესახებ, თუმცა არც ერთმა არ დაადასტურა მათი გამოყენების და დამატებითი ლიტერატურის მოძიების ფაქტი.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ვიზიტის პერიოდში საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომა დაშვებული იყო არა მხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტის, არამედ პირადი კომპიუტერებიდანაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან, უსდ-ს ადმინისტრაციასთან, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან, სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ

პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს შემუშავებული აქვს სამწლიანი ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამის შემოსავლები და ხარჯებიც, ინტერნაციონალიზაციის ღონისძიებების დაფინანსება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება და სტუდენტური აქტივობების დაფინანსება, პერსონალის განვითარება ფაკულტეტის ბიუჯეტში არ არის განსაზღვრული პროექტებისა და გრანტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხა. როგორც აღინიშნა ინტერვიუების პროცესში, ამჟამად უშალოდ პროგრამის ფარგლებში არ ხორციელდება საგრანტო პროექტები. თუმცა,

სასწავლო უნივერსიტეტის მასშტაბით მიმდინარეობს რამდენიმე პროექტი, რომეიც დაფინანსებულია სხვადასხვა დონორების მიერ, (მათ შორის, სახელმწიფო გრანტები, გაერო, USAID, PICASA, ERAZMUS, ERAZMUS MUNDUS, DARE, STARY, INTEGRITY და სხვა პროექტები); ასევე, უშუალოდ პროგრამის განხორციელებისათვის ფაკულტეტს მიღებული აქვს მუნიციპალიტეტის გრანტი 30 000 ლარის ოდენობით. უსდ-ს ბიუჯეტში გამოყოფილია სოციალური დახმარების პაკეტი, რომელიც სამინისტროს რეგულაციის მიხედვით განსაზღვრულია მოწყვლად ჯგუფის სტუდენტებისათვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გარდა ამისა, უსდ-ს ადმინისტრაციის მიერ გათვალისწინებულია ისეთი სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც არასაკმარისი ქულების გამო ვერ იღებენ სოციალურ დახმარებას. ზოგადად, სტუდენტების წახალისებისა და მხარდაჭერისათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა მექანიზმები, როგრებიცაა მესხიას სახელობის სტიპენდია, საფაკულტეტო სტიპენდიები, მგზავრობის ხარჯების დაფინანსება და სხვ. ფაკულტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისათვის, ისევე, როგორც ადგილობრივი და უცხოეთში მივლინებებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული სამწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ბიუჯეტი ○ ფაკულტეტის ბიუჯეტი ○ ინტერვიუ უსდ-ს ხელმძღვანელობასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ სოციალური დახმარების დამატებითი პაკეტი მოწყვლადი ჯგუფის სტუდენტებისათვის; აკადემიური მოსწრების საფუძველზე შემუშავებული ფინანსური დახმარების მექანიზმები
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ეფუძნება შემდეგ დადგენილებებს: ○ „საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის დამტკიცებისა და სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 თებერვლის #10 დადგენილება;

- ,,სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 26 თებერვლის #12 დადგენილება;

- ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების/რეკომენდაციების სახელმძღვანელოდ დამტკიცების შესახებ“აკადემიური საბჭოს 2020 წლის 26 თებერვლის #13 დადგენილება;

- ,,აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების სხვა სგანმანათლებლო პროგრამებისთვის თავისუფალი კრედიტების სტატუსით დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 26 თებერვლის #14 დადგენილება;

- ,,საგანამანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმის დამტკიცების შესახებ“აკადემიური საბჭოს 2020 წლის 26 თებერვლის #15 დადგენილება.

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების სამსახური სისტემატურად ატარებს, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს პროგრამის განხორციელების შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების მიღების მიზნებისათვის.

როგორც ონლაინ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, პროგრამის განვითარებისა და განხორციელების პროცესში აქტიურად არის გამოყენებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები, რაც აისახება, როგორც შესაბამისი საგნის სილაბუსის მოდიფიცირებაში, ასევე თავად პროგრამის სასწავლო კურიკულუმში განხორციელებულ შესაბამის ცვლილებებში.

სტუდენტებისა და კურსდამთარებულების გამოკითხვის შედეგები ეცნობებათ პროგრამაში ჩართულ შესაბამისი პროფილის აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებს.

პროგრამის ხარისხის განვითარების მიმართულებით, ასევე ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეხვედრები სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და გამოცდილების ურთიერთგაზიარების პირობებში ხორციელდება პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება.

დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ადმინისტრაცია და სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ატარებს დამსაქმებელთა გამოკითხვას პროგრამის კურიკულუმის პრაქტიკული კომპონენტების გამრავალფეროვნებისა და სტუდენტებისათვის შრომის ბაზარზე მორგებული უნარების განსავითარებლად გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა/ დამსაქმებელთა/ კურსდამთავრებულთა/პერსონალისა და შრომის ბაზრის კვლევების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები,

წარედგინება რექტორს პროგრამის, სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნული კველევების ბოლოდროინდელი რეკომენდაციები ძირითადად შეეხო ,,საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამის შემუშავების აუცილებლობას, საჯარო სამსახურებში დასაქმებისას ამ პროგრამის კურსდამთვრებულთა პრიორიტეტის გათვალისწინებას, დამსაქმებლის მონაწილეობის ზრდას მათი ჩართულობით პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისა და მიღწევის ნაწილში. ონლაინ ვიზიტისას ასევე გამოიკვეთა, რომ პროგრამის ადმინისტრაცია ასევე გეგმავს საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებას და სააკრედიტაციოდ წარდგენას. ამ მიზნისთვის ხორციელდება კონსულტაციები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მაგალითისათვის თვითშეფასების ანგარიშში დასახელებულია საქართველოს მთავრობის კანცელარია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ონლაინ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები; ○ სტუდენტთა/დამსაქმებელთა/კურსდამთავრებულთა/პერსონალის და შრომის ბაზრის კვლევის გამოკითხვის ფორმები. ○ აკადემიური საბჭოს დადგენილებები ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათებით წარმოდგენილი კვლევის შედეგების ანალიზი, რეკომენდაციები. ○ რექტორის ბრძანებები კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) ჩატარებისა დ ანალიზის უზრუნველსაყოფად მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ., ○ საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ○ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა ○ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების ფორმები ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნებისათვის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს, როგორც ეროვნულ დონეზე არსებულ შეფასების შედგებს ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის ფარლებში არსებულ გარე შეფასების შედეგებს.

პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2015 წლის 24 ივლისს აკრედიტაციის ექსპერტების მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციები დიდწილად იქნა გათვალისწინებული, როგორც პროგრამის განხორციელების ეტაპებზე, ასევე პროგრამის სააკრედიტაციოდ მომზადების პერიოდშიც.

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე იყენებს საერთაშორისო საპარტნიორო ქსელში არსებულ და დაგროვილ გამოცდილებას პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზენბისათვის. ამის თვალსაჩინო მაგალითია Erasmus-ის პროექტების INTEGRITY, STAR და DARE-ს ფარგლებში უცხოელი კოლეგებისაგან მიღებული რჩევების გათვალისწინება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების დახვეწისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დანერგვის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ონლაინ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება

○ დასკვნა/რეკომენდაციები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შემოწმების მიზნებისათვის აწარმოებს კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის, შემუშავების/ცვლილებების განხორციელებისას მათი მოსაზრებების გათვალისნების

მიზნებისათვის. ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების ყველა შესაბამის სამუშაო ეტაპზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შრომის ბაზრის კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთა /პრაქტიკოსებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამის გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის გარდა სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვა მეთოდებს შორის ასევე იყენებს: შეფასების უწყისებს, სტუდენტთა პირად საქმეებს, სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად ჯგუფების რაოდენობის საჭიროების კონტროლს, კვლევის თემატიკის წარმოდგენის, ნაშრომების პერსონალისათვის გადაცემისა და შეფასების ვადების კონტროლს/მონიტორინგს, სააუდიტორიო ფონდის განაწილების კონტროლს/მონიტორინგს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ონლაინ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ჩატარებული მონიტორინგის მასალები,შედეგების ანალიზი, რეკომენდაციები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
საჯარო მმართველობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო დოლიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ფარსადანიშვილი 

სახელი, გვარი, ხელმოწერა: გიგი გიოშვილი